ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ62. 62232483**
თარიღი:**05/09/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-II თავის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 04 სექტემბრის №გ-63. 632324716 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 8000 (რვაათასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში

რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი